იუნკერთა ფიზიკური მომზადების ჩატარების პროგრამა

პროგრამის მიზანია დროებით სამეთაურო შტატზე დანიშნულმა იუნკერმა, შეიძინოს ფიზიკური მომზადების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება, გამოიმუშავოს პირადი შემადგენლობის მართვის, დროის კონტროლისა და კომუნიკაციის სწორი უნარები.

სასწავლო წლის განმავლობაში, დროებით სამეთაურო შტატზე დანიშნული იუნკერები, სასწავლო ბატალიონში დამტკიცებული ფიზიკური მომზადების გეგმის მიხედვით მოამზადებენ და პრაქტიკულად განახორციელებენ ფიზიკური მომზადების მეცადინეობებს.

ფიზიკური მომზადების მეცადინეობები მოიცავს როგორც ფიზიკურ ვარჯიშებს ასევე დაბრკოლებათა ზოლის გადალახვას.

ფიზიკურ მომზადება ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით სავალდებულოა ყველა იუნკერისთვის.

იუნკერი გამოიმუშავებს ფიზიკური მომზადების ჩატარების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეძლებს კომუნიკაცია დაამყარებას ქვედანაყოფთან, ზუსტად აკონტროლოს დრო და დახვეწოს ქვედანაყოფის მართვის უნარები.